შრომის ტესტები:

1.შრომა არის:

ა) ადამიანის მიზანმიმართული ქმედება, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და მოგების მაქსიმიზაციისათვის;

ბ)ადამიანის მიზანმიმართული ქმედება, მატერიალური დოვლათის, მომსახურების ან სულიერი ფასეულობების შესაქმნელად;

გ)ადამიანის მიზანმიმართული ქმედება, ოჯახური შემოსავლების გაზრდის მიზნით;

2.შრომის ეკონომიკა ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემას განეკუთვნება და იგი შეისწავლის:

ა)შრომის პროცესში წარმოქმნილ სოციალური პარტნიორობისა და ადამიანთა ურთიერთობის სოციო-ფსიქოლოგიურ ასპექტებს;

ბ)ადამიანის მიზანმიმართულ ქმედებას, პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად;

გ)შრომის პროცესში წარმოქმნილ სოციალურ-შრომით ურთიერთობებს;

დ)შრომის პროცესის ინტელექტუალიზაციისა და ჰუმანიზაციის პრობლემებს.

3.თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში, შრომის ეკონომიკის უმთავრესი, ყველაზე მწვავე პრობლემაა:

ა)მდგრადი ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება;

ბ)მასობრივი უმუშევრობის შემცირება და დასაქმების სისტემის ოპტიმიზაცია;

გ)უმუშევრობისა და ინფლაციის დაძლევა;

დ)ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია.

4.შრომის ეკონომიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პერსონალის მართვა. ამ უკანასკნელის შესწავლის ძირითად ობიექტს წარმოადგენს:

ა)ადმინისტრაციის მიერ პერსონალის საქმიანობის ორგანიზაცია, მათი შერჩევა და დაქირავება;

ბ)კვალიფიკაციის ამაღლება, კარიერული წინსვლა;

გ)პიროვნების განვითარება, მასტიმულირებელი სისტემის შერჩევა და გამოყენება;

დ)ყველა პასუხი სწორია.

5.შრომითი პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა მისი ინტელექტუალიზაციის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს:

ა)მეცნიერებისა და ეკონომიკების განვითარებას და მისი როლის ზრდას საწარმოო პროცესების განვითარებაში;

ბ)გონებრივი შრომის წილის მატებას, ფიზიკურ შრომასთან შედარებით;

გ)გონებრივი შრომისა და მძიმე ფიზიკური შრომის შეფასებას;

დ)საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას და ცოდნის გადაქცევას ადამიანურ კაპიტალად.

6.შრომის ჰუმანიზაცია გულისხმობს:

ა)შრომის სტიმულთა სისტემას, სამართლიანობას, სოციალური გარანტიების სისტემას;

ბ)შრომის გადაქცევას წარმოების ძირითად ფაქტორად;

გ)შრომის ფაქტორის გადაქცევას, როგორც წარმოებისა, ეფექტიანობისა და მოგების გადიდების საშუალებად;

დ)შრომის, როგორც წარმოების ძირითადი ფაქტორის გადაქცევას მოსახლეობის შ....

7.შრომის ეკონომიკა, როგორც მეცნიერება პირველ რიგში, ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება:

ა)სტატისტიკას, ეკონომიკურ-მატერიალურ მოგებებს;

ბ)ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებისა ანალიზისა და პროგნოზირების მოდელებს;

გ)ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემას, ეკონომიკის თეორიას, ეკონომიკის პრინციპებს;

დ)მარტო ეკონომიკისა და ეკონომიკურ განვითარებას.

8)შრომის ეკონომიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ჩამოყალიბდა:

ა) ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ;

ბ)ორი საუკუნის წინ;

გ)მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში;

დ)მე-19 საუკუნის დასაწყისში.

9.შრომის ეფექტიანობას ყველაზე მეტად განსაზღვრავს:

ა)შრომითი პოტენციალი;

ბ)შრომითი რესურსების ერთდროული განაწილება;

გ)ტექნოლოგიური მოწყობილობების დანერგვა და ინოვაციების გამოყენება;

დ)მიგრაციის მაღალი დონე და სისტემები.

10. XXI საუკუნის დასაწყისიდან წარმოების მთავარ ფაქტორად აღიარებულ იქნა:

ა)საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი;

ბ)საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსები;

გ)შრომა, ადამიანური კაპიტალი;

დ)სახელმწიფოს ეკონომიკური როლი.

11.ადამიანური კაპიტალისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია:

ა)ჯანმრთელობა, განათლება, ბუნებრივი მონაცემები, პროფესიონალიზმი;

ბ)განათლება, ბუნებრივი მონაცემები, თვითრეალიზაციის უნარი, პროფესიონალიზმი;

12. შრომის ბაზრის კონიუნქტურის ტიპებია:

ა) სამუშაო ძალის ზრდას, შრომის დაძაბულობა და უმუშევრობა;

ბ)უმუშევრობა, სამუშაო ძალის დეფიციტი და აბსოლუტური წონასწორობა;

გ)უმუშევრობა, სამუშაო ძალის სიჭარბე და აბსოლუტური წონასწორობა;

13.დასაქმების ძირითადი სახეებია:

ა)ფორმალური და არაფორმალური;

ბ)სრული და არასრული;

გ)რაციონალური და ტექნოლოგიური;

დ)მეორადი და შენაცვლებითი.

14.საერთაშორისო სტატისტიკაში მოსახლეობის დასაქმების დონის მაჩვენებლები იანგარიშება:

ა)დასაქმებულთა რიცხოვნობის შეფარდებით 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობასთან;

15. შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმების და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე:

ა)სამუშაო ძალის ეკონომიკური აქტივობის ზრდასა და განვითარებას;

ბ)სამუშაო ძალის გეგმაზომიერ გადაადგილებას ეკონომიკის მხრიდან არსებული მოთხოვნის შესაბამისად;

გ)სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას;

დ)სამუშაო ძალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

16.დასაქმების აქტიური პოლიტიკის პარალელურად, უმუშევარი მოსახლეობის დროებითი სოციალური დაცვის მიზნით, უნდა განხორციელდეს პასიური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს:

ა)უმუშევართათვის სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაში ხელმისაწვდომობას;

ბ)არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას;

გ)პროფესიულ მომზადებას და გადამზადებას;

დ)უმუშევრებზე შემწეობების გაცემას.

17.დასაქმების აქტიური პოლიტიკის ამოცანებია:

ა)უმუშევართა აღრიცხვა და რეგისტრაცია;

ბ)რეგისტრირებულ უმუშევართა შემწეობების რაოდენობის და გაცემის ხანგრძლივობის დადგენა;

გ)შრომის ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა, დასაქმების სამსახურების ფუნქციონირების გაუმჯობესება;

დ)უმუშევართა მონიტორინგი...

18.პერსპექტივაში, დასაქმების აქტიური პოლიტიკის საბოლოო მიზანია:

ა)სიღარიბის დონის შემცირება და ცხოვრების დონის ამაღლება;

ბ)შრომის ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა;

გ)სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა;

19.ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დებულება გამოხატავს კლასიკოსების თვალსაზრისს:

ა)მოკლევადიან პერიოდში ფასები და ხელფასის განაკვეთი არაელასტიკურია, ისინი არ არიან ეკონომიკის რეგულატორები, ვერ აღადგენენ სრულ დასაქმებას;

ბ) საბაზრო ეკონომიკაში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას;

გ)შრომის ბაზარზე ხანგრძლივი და მყარი წონასწორობა მიიღწევა უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში;

დ)თავისუფალი კონკურენციის პირობებში, საბაზრო სისტემას აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულყოფილი დასაქმების უზრუნველყოფის უნარი, რაც შეესაბამება შრომის ბაზრის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებს.

20.ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დებულება არ გამოხატავს კეინზის თვალსაზრისს:

ა)სრული დასაქმება, ეს არის პრაქტიკულად მაქსიმალურად შესაძლებელი დასაქმება, რაც შეესაბამება შრომისუნარიანი მოსახლეობის 96-97%-ის ჩართვას შრომით საქმიანობაში;

ბ)საბაზრო ეკონომიკაში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ავტომატურად სრულ დასაქმებას ყველა პირობებში;

გ)აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს სისტემატიური ჩარევა;

დ)შრომის ბაზარზე, ხანგრძლივი და მყარი წონასწორობა მიიღწევა უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში, ამასთან ინფლაციის ტემპი შეიძლება იყოს ნებისმიერი.

21.ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დებულება არ გამოხატავს მონეტარისტების თვალსაზრისს დასაქმების პრობლემების მიმართ:

ა)შრომის ბაზარზე, ხანგრძლივი და მყარი წონასწორობა მიიღწევა უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში, ამასთან ინფლაციის ტემპი შეიძლება იყოს ნებისმიერი;

ბ)სრული დასაქმება, ეს არის პრაქტიკულად მაქსიმალურად შესაძლებელი დასაქმება, რაც შეესაბამება შრომისუნარიანი მოსახლეობის 96-97%-ის ჩართვას შრომით საქმიანობაში;

22.შრომის ბაზარზე, დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელებას საფუძვლად უდევს:

ა)დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება;

ბ)უმუშევარ მოქალაქეებზე შემწეობების გაცემის სპეციალური პროგრამების შემუშავება;

გ)მომუშავეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებათა სისტემის შემუშავება;

დ)დასაქმების სახელმწიფო, რეგიონალური და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება.

23. ისტორიულად პროფკავშირების წარმოშობა დაკავშირებულია:

ა) დაქირავებულთა ეკონომიკურაი და სოციალური ინტერესების დაპირისპირების გამწვავებასთან;

ბ) სახელმწიფოსა და დაქირავებულთა ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებასთან;

გ) დამქირავებელთა და დაქირავებულთა ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებასთან;

დ) სახელმწიფოსა და დამქირავებელთა ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებაასთან.

24. დარგობრივ პროფკავშირებში გაერთიანებულია:

ა) დარგის მხოლოდ ერთი და იმავე პროფესიის ყველა მომუშავე;

ბ) მხოლოდ ერთი და იმავე პოფესიის მომუშავეთა ნაწილი;

გ) **დარგის ან ფირმის მომუშავეთა დიდი ნაწილი მათი საქმიანობის სახის თუ სფეროს მიუხედავად,**

დ) სავალდებულო წესით დარგის ყველა მომუშავე მათი საქმინობის სახლის თი სფეროს მიუხეავად.

25. საამქრო პროფკავშირებში გაერთიანებულია:

მხოლოდ ერთი და იმავე პროფესიის მომუშავეთა ნაწილი; (მხოლოდ სწორი პასუხით შემოიფარგლა :დ)

26. პროფკავშირების ძირითადი ფუნქციებია:

ა) მარეგულირებელი და საკონტროლო

ბ) ეკონომიკური და პოლიტიკური

გ) დამცავი და წარმომადგენლობითი

27. პროფკავშირების დამცავი ფუნქცია გამოიხატება:

ა) მომუშავეების ინტერესების დაცვაში ფირმისა და სახელმწიფოს დონეზე;

ბ) ფირმების მხარდაჭერაში გააფართოონ გასაღების ბაზრის სეგმენტი და გაზარდონ კონკურენტუნარიანობა;

გ) მომუშავეების ინტერესების დაცვაში მხოლოდ სახლემწიფო დონეზე;

დ) მეწარმეების მიერ მომუშავეების უფლებების დაღვევის თავიდან აცილებასა და მათი უკვე დარღვეული უფლებების აღდგენაში;

28. პროფკავშირების წარმომადგენლობითი ფუნქცია დაკავშირებულია:

ა) მომუშავეების ინტერესების დაცვაში ფირმისა და სახელმწიფოს დონეზე;

ბ) ფირმების მხარდაჭერასთან გააფართოონ გასაღების ბაზრის სეგმენტი და გაზარდონ კონკურენტუნარიანობა;

გ) მომუშავეების ინტერესების დაცვასთან მხოლოდ სახლემწიფო დონეზე;

დ) მეწარმეების მიერ მომუშავეების უფლებების დაღვევის თავიდან აცილებასთან.

29. პროფკავშირი არის:

ბ) მომუშავეების ნებაყოფლობითი პროფესიული გაერთიანება რომლის მიზანს საკუთარი წევრების ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვა წარმოადგენს

30. ადამიანური კაპიტალი არის:

ა) დაგროვილი ინვესტიცია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში

ბ) დაგროვილი ინვესტიცია განათლების, პროფესიული მომზადების, მიგრაციის, პროფესიული ჯანმრთელობის სფეროში

გ) დაგროვებული ინვესტიცია წარმოების ორგანიზაციასა და მენეჯმენტის სფეროში

დ) დაგროვებული ინვესტიცია ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ადამიანების დასაქმების სფეროში

31. ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს მიეკუთვნება:

ა) სწავლის პროცესთან დაკავშირებული ფსიქო-ნერვული დაძაბულობა;

ბ) სწავლის ქირა, ნსახელმძღვანელოების შეძენის ხარჯი, სასწავლო მიგრაციაზე დანახარჯები;

გ) სწავლების პერიოდში დაკარგული შესაძლო შემოსავალი;

დ)სწავლის შემდგომ მუშაობის ძებნასთან დაკავშირებული სტრესი და დანაკარგები

32. სამუშაო ძალის ხარისხი არის:

ა) ადამიანის თვისებათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს კვალიფიკაციას და პიროვნულ მახასიათებელს

ბ) ცოდნა და უნარ-ჩვევები რაც აქვს მუშას ან შეუძლია შეიძინოს

გ) განათლებისა და პროფესიული მომზადების, აგრეთვე სამუშაო გამოცდილების ერთობლიობა

დ) ცოდნა და უნარ-ჩვევები. რომელიც აქვს მუშას კონკრეტული ფუნქციონალური ვალდებულებების შესასრულებლად

33. ერენბერგისა და სმიტის თვალსაზრისით ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული დანახარჯებია:

ა) პირდაპირი დანახარჯები, ირიბი დანახარჯები, კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული დანახარჯები

ბ) პირდაპირი დანახარჯები, დაკარგული შემოსავალი, მორალური ზარალი

გ)პირდაპირი დანახარჯები, დაკარგული შემოსავალი, ყველა სხვა სახის მატერიალური დანახარჯები

დ) პირდაპირი დანახარჯები, ირიბი და ფულადი დანახარჯები, მორალური ზარალი

34. ადამიანური კაპიტალის თეორიას საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს ცნობილმა მეცნიერებმა:

ა) მარშალმა და ფრიდმანმა

ბ) სმიტმა და რიკარდომ

გ) მაკონელმა და ბრიუმ

დ) ბეკერმა და შულცმა

35. ნობელის პრემიის ლაურეატებმა ბეკერმა და შულცმა ანალიზით დაასაბუთეს, რომ:

ა) წარმოებაში ინვესტირებით მეტი ეფექტი მიიღება ვიდრე განათლებაში

ბ) თანამედროვე პირობებში ფიზიკური კაპიტალი ყველაზე მეტად უზრუნველყოფს ეროვნული სიმდიდრის მატებას და იგი წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია

გ) ადამიანური კაპიტალის განვითარება წარმოებაში შესაძლებელია მხოლოდ ფულადი სახსრების რეინვესტირებით

დ) ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციით მიღებული შემოსავალი ბევრად მეტია ვიდრე ფიზიკურ კაპიტალში ინვესტირებიდან

36. შრომის შინაარსის განუწყვეტლივ ცვლილებასთან ერთად ხდება მისი უნივერსალიზაცია. რას გულისხმობს ეს?

ერთფეროვან ფუნქციათა ნაცვლად რთული კომპლექსური ფუნქციების ჩამოყალიბება (სხვა ვერსიები არ გაურჩევია)

37. თანამედროვე მსოფლიოში სწრაფად ხდება საერთაშორისო-საგანმანათლებლო მომსახურების გაფართოება ბოლონიის პროცესის შესაბამისად, რომლის მთავარი მიზანია:

ა) შეიქმნას ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცე

ბ) სრულყოფილი ცოდნის მიღების მიზნით გაფართოვდეს სტუდენთა მობილურობა

გ) შესაძლებლობა მიეცეთ სტუდენტებს მიიღონ ამა თუ იმ დარგში პრესტიჟის მქონე უნივერსიტეტებში მაღალი დარგის ცოდნა

დ) ყველა სწორია

38. შრომის უნიკალიზაცია გულისხმობს:

ა) ახალ მაღალკვალიფიციურ პროფესიათა რაოდენობის ზრდასა და კვალიფიკაციის შინაარსის ცვლილებას

ბ) შრომის დაძაბულობის დონისა და დატვირთვის ზრდას

გ) ნერვულ-ფსიქოლოგიური დაძაბულობის და სტრესის გაძლიერებას

დ) ერთფეროვან ფუნქციათა ნაცვლად რთული კომპლექსური ფუნქციების ჩამოყალიბებას

39. სოციალური პოლიტიკა ფართო მეცნიერული გაგებით არის:

ა) ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანთა კეთილდღეობაზე

ბ) საზოგადოების ფენებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების სისტემა, რომლის ცენტრშიც არის ადამიანი, მისი კეთილდღეობა, სოციალური დაცვა და სოციალური განვითარება

გ) მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დ) აუ აქ ვერ გავიგე რომელი თქვეს სწორიაო და მივხვდებით ალბათ წაკითხვისას :დ ან ყველაა ან თუ ყველა არ იქნა, მეორე. შეიძლება გ) ბ)-შია მიბმული და ვერ გავიგე რა კაროჩე :დ

40. ქვეყნის სოციალური პოლიტიკის არსიდან გამომდინარე მისი ობიექტია:

ა) ქვეყნის მოსახლეობა და ცალკეული სოციალური ჯგუფები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ხმარდაჭერას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან

ბ) როგორც სახელმწიფო, ისე, ცალკეული სოციალური ჯგუფების ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციული სტრუქტურები

გ) პროფკავშირები

დ) მოსახლეობის შემოსავლები, დასაქმება და სხვ.

41. სოციალური პოლიტიკის აუცილებლობას უარყოფს:

დ) ეკონომიკურ-ტექნოლოგიური დეტერმინიზმი

42. მოსახლეობის ფულადი შემოსავლები არ მოიცავს:

ა) ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებულ პრდუქციას

ბ) მომუშავეთა ხელფასს და სტუდენთა სტიპენდიებს

გ) სამეწარმეო საქმიანობდიან მიღებულს საქმიანობას და ასაკის გამო მიღებულ პენსიას

დ) საკუთრებდიან პროცენტისა და დივიდენდის სახით მიღებულ შემოსავლებს

43. არაფულადი ნატურალური შემოსავლები მოიცავს:

ა) ფასიანი ქაღალდებისა და უძრავი ქონების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს

ბ) საკუთრებიდან პროცენტის და დივიდენდის სახით მიღებულ შემოსავალს

გ) ჰუმანიტარული დახმარებით უსასყიდლოდ მიღებულ პროდუქციას

44. სოციალური პოლიტიკის მიზანია:

ა) მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ქვენაყაში სოციალური პროცესების სტაბილურობისთვის პირობების უზრუნველყოფა

45. დაბეგვრისა და ფასებთან მიმართებაში შემოსავალი იყოფა:

გ) ნომინალურ, განკარგვით და რეალური შემოსავლებად

46. განკარგვითი შემოსავალი არის:

ა) ერთობლივი შემოსავალი დაბეგვრსია და ფასების მიუხედავად

ბ) სამეწარმეო საქმიანობიდან და საკუთრებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი

გ) მხოლოდ საკუთარ მეურნეობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისგან მიღებული შემოსავალი

დ) გასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების შემდეგ დარჩენილი შემოსავალი

47. რეალური შემოსავალი იანგარიშეება

ა) ერთობლივი შემოსავლიდან დაბეგვრისა და აფსების მიხუედავად

ბ) ერთობლივი შემოსაავლიდან გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდის შემდეგ, რომლის განკარგვა ოჯახს შეუძლია

გ) ნომინალური შემოსავლისა და ფასების ინდექსის გათვალისწინებით

დ) საქონლისა და მომსახურების ღირებულებით, რომლის შეძენაც შესაძლებელია მიღებული განკარგვითი შემოსავლებით

48. მიღების ხერხის მიხედვით, შემოსავლები იყოფა შემდეგ კატერგორიებად:

ა) განკარგვითი და რეალური

ბ) შემოსავლები ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკიდან

გ) სოციალიზებული და საკუთრებდიან მიღებული შემოსავალი

დ) ხელფასის და რენტის სახით მიღებული შემოსავლები

49. შემოსავლების უთანასწორო განაწილების სპეციფიკური მიზეზები დაკავშირებულია:

ა) ხელფასის დიფერენციისა და განათლების დონესთან

ბ) საკუთრების ფორმის(თუ რაღაც მსგავსი) უთანაბრობასთან

გ) პიროვნების მახასიათებლებთან

დ) საბაზრო გარემოს თავისებურებებთან

50. სოციალური პოპულიზმის სტარტეგია:

ა) უარყოფს სოციალური პოლიტიკის აუცილებლობას

ბ) აქცენტს აკეთებს ეკონომიკურად აქტიური მსოახლეობის გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებაზე

გ) უპირატესობას ანიჭებს სოციალური დაცვის პოლიტიკიას, მკვეთრად ზღუდავს ბაზრის თავისუფალ ფუნქციონირებას

დ) ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებრივი და დროებით სამუშაოებს მოსახლეობის დასაქმების მიზნით

51. ლორენცის მრუდი :

გ) არის კოორდინატთა სისტემაზე გამოსახული გრაფიკი, რომელი ასახავს შემოსავლების განაწილებას მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით

52. თუ ლორენცის მრუდი ემთხვევა ბისექტრისას, მაშინ:

ა) მოსახლეობის 1% იღებს შემოსავლების 100%-ს

ბ) მოსალხეობის 10% იღებს შემოსავლების 50%-ს

გ) მოსახლეობის 10% შემოსავლების 10%-ს

53. ჯინის ინდექსი გამოხატავს:

ბ) შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილებისგან

54. შემოსავლების თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ტოლია:

ა) 1

ბ) 0.5

გ) 0

დ) 2

55. შემოსავლების აბსოლუტურად არათანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი

ა) 0

ბ) 1

გ) 1,5

56. ცხოვრების დონე არის:

ა) მოსახლეობის მოთხოვნილებათა სტრუქტურა და შესაბამისი საქონლით და მომსახურებით მათი დაკმაყოფილების ხარისხი

ბ) ადამიანთა მატერიალური, სულიერი და სოციალური ხარისხის განვითარების სტრუქტურა

გ) ადამიანთა პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი

57. სასურსათო კალათა არის:

ა) საქონლისა და მომსახურების ნაკრები

ბ) მხოლოდ საქონლის ნაკრები

გ) მხოლოდ მომსახურების ნაკრები

დ) თვის განმავლობაში ერთი ადამიანსიათვის საჭირო კვების პროდუქტების ნაკრები გაანგარიშებული კვების პროდუქტების მოხმარების მინიმალური ნორმების საფუძველზე

58. მოსახლეობის ცხოვრების დონე განიხილება სამი ძირითადი ასპექტით:

ა) მთელი მოსახლეობის, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ცალკეული სოციალური ფენების მიმართ

ბ) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, სოციალური ჯგუფებისა და ოჯახების მიმართ

გ) მთელი მოსახლეობის, სოციალური ჯგუფებისა და ოჯახების მიმართ

59. მინიმალური სამომხმარებლო კალათა არის:

ა) სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ნაკრები, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად

ბ) თვის განმავლობაში ერთი ადამიანისათვის საჭირო კვების პროდუქტების ნაკრები

გ) მხოლოდ საქონლის ნაკრები, რომელიც ობიექტურად აუცილებელია ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად

დ) მხოლოდ მომსახურების ნაკრები, რომელიც ობიექტურად აუცილებელია ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად

60. მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება განისაზღვრება:

ა) მხოლოდ სასურსათო კალათის ღირებულების საფუძველზე

ბ) მხოლოდ არასასურსათო ხარჯების გაანგარიშების საფუყძველზე

გ) სასურსათო კალათის ღირებულებისა და არასასურსათო ხარჯების გაანგარიშების საფუძველზე

61. მატერიალური უზრუნველყოფის დონის მიხედვით ღარიბ ოჯახებს მიეკუთვნება ისეთი ოჯახები:

ა) რომელთა შემსოალებიც ერთ სულზე გაანგარიშებით იმყოფება საარსებო მინიმუმისა და მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტს შორის

ბ) რომელთა შემოსავლები ერთ სულზე გაანგარიშებით მდებარეობს მისი ნომინალურ-სამოხმარებლო ბიუჯეტსა და რაციონალურ სამოხმარებლო ბიუჯეტს შორის

გ) რომელთა შემოსავლები იმყოფება ერთ სულზე გაანგარიშებით საარსებო მინიმუმზე ნაკლებია ან მისი ტოლია

62. მატერიალურად უზრუნველყოფილი დონის მიხედვით უზრუნველყოფილ ოჯახებს მიეკუთვნება ისეთი ოჯახები:

ა) რომელთა შემოსავლებიც ერთ სულზე გაანგარიშებით იმყოფება საარსებო მინიმუმისა და მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტს შორის

ბ) რომელთა შემოსავლები ერთ სულზე გაანგარიშებით მდებარეობს მინიმალურ სამოხმარებლო ბიუჯეტსა და რაციონალურ სამოხმარებლო ბიუჯეტს შორის

გ) რომელთა შემოსავლები იმყოფება ერთ სულზე გაანგარიშებით საარსებო მინიმუმზე ნაკლებია ან მისი ტოლია

დ) რომელთა შემოსავლები იმყოფება ერთ სულზე გაანგარიშებით რაციონალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე მაღალია

63. სიღარიბის დონის მაჩვენებლი გამოხატავს:

ა) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მთლიანი მოხმარების დაშორებას სიღარიბის დონიდან

ბ) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილს მთლიან მოსახლეობაში

გ) ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობას

64. სიღარიბის სიღრმე გამოხატავს:

ა) ღარიბი მოსახლეობის წილს მთელ მოსახლეობაში

ბ) ღარიბი ოჯახების შემოსავლების გადახრას სიღარიბის ზღვრიდან

გ) ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობას

65. სიღარიბის სიმწვავე ასახავს:

ა) ღარიბი მოსახლეობის წილს მთლიან მოსახლეობაში

ბ) რამდენად არის დაშორებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მთლიანი მოხმარება სიღარიბის დონიდან

გ) თვით ღარიბთა შორის დიფერენციაცია (ღარიბ ოჯახთა შორის უმუშევრობის დონე), ღატაკების წილს ღარიბ მოსახლეობაში

66. შემოსავლების რეგულირების ეკონომიკური ღონისძიებები:

ა) ეს არის საკანონმდებლო აქტების სისტემა და უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისთვის დახმარების გაცემას

ბ) მიმართულია დაბალანსებული ეკონომიკური ზრდისათვის პირობების შესაქმნელად და ძირითადად გავლენას ახდენს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე

67. შემოსავლების რეგულირების ადმინისტრაციული ღონისძიებები:

ა) **არის საკანონმდებლო აქტების სისტემა, რომლებიც არეგულირებს მოსახლეობის შემოსავლებს**

ბ) დაკავშირებულია ნომინალური შემოსავლების რეგულირებასთან

68. მინიმალური ხელფასი წარმოადგენს:

ა) დაქირავებულის თვითდასაქმების შემოსავლის ნაწილს

ბ) სახელმწიფოს მიერ დადგენილ ხელფასის მინიმალურ ოდენობას საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით

გ) პროფკავშირების მიერ დადგენილი ფასი

დ) სამუშაო ძალის ერთეულის საბაზრო ფასი

69) შრომის ნორმა ეკონომიკურად დასაბუთებულია თუ:

ა) ის ითვალისწინებს მოწყობილობათა და მომუშავეთა ოპტიმალურ დატვირთვას

ბ) ადამიანის ფიზიკური და ნერვული ენერგიის ხარჯვა ოპტიმალურია

70) შრომის ნორმა სოციალურად დასაბუთებულია თუ:

ა) ადამიანის ფიზიკური და ნერვული ენერგიის ხარჯვე ოპტიმალურია

ბ) ის ითვალისწინებს მოწყობილობათა და მომუშავეთა ოპტიმალურ დატვირთვას

გ) შრომა შინაარსიანია, სამუშაოს შესრულების პროცესში მომუშვეს საშუალება აქვს დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროცესი განახორციელოს

71) გამომუშავების ნორმა არის:

ა) ერთი მომუშავის ან მომუშავეთა ჯგუფის მიერ დროის ერთეულში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა

ბ) მომუშავის კვალიფიკაციისა და არსებული ორგანიზაციულ ტექნიკური პირობების გათვალისწინება

გ) სამუშაო ერთეულის შესრულება და სამუშაო დროის დანახარჯები

დ) კონკრეტული მოცულობის სამუშაოს ან საწარმოო ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო..

72) დროის ნორმა არის:

ა) სამუშაოს ერთეულის შესრულებაზე დროის დანახარჯები, რომელიც ითვლება ერთ მომუშავეზე ან მომუშავეთა ჯგუფზე განსაზღვრულ ორგანიზაციულ ტექნიკურ პირობებში მათი კვალიფიკაციის შესაბამისად

73) მომსახურების ნორმა არის:

ა) ერთი ხელმძღვანელისადმი უშუალოდ...

ბ) სამუშო ერთეულის შესრულება და სამუშაო დროის დანახარჯების დადგენილი სიდიდე

გ) საწარმოო ობიექტთა ის რაოდენობა, რომელსაც უნდა მოემსახუროს მომუშავე ან ბრიგადა დროის განსაზღვრულ პერიოდში

74) რიცხოვნობის ნორმა განისაზღვრება:

ა) დროის ერთეულში შესრულებული სამუშაოს მოცულობით, რომელიც უნდა შეასრულოს..

ბ) ერთი ხელმძღვანელისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული...

გ) მომუშავეთა რიცხოვნობას, რომელიც აუცილებელია გარკვეული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად

75) მმართველობის ნორმა ადგენს:

ა) მომუშავის რიცხოვნობას, რომელიც ერთ ხელმძღვანელს უნდა დაექვემდებაროს

ბ) სამუშაოს ერთეულის შესრულება და სამუშაო დროის დანახარჯებს სიდიდე

76) ფოტოგრაფიის მეთოდით სამუშაო დროის დანახარჯების შესწავლა ხორციელდება

ა)შრომის პროცესში ცალკეულ ოპერაციაზე დახარჯული დროის შესწავლა

ბ) დაკვირვება მომუშავეებსა და მომუშავეთა ჯგუფზე მთელი ცვლის ან ცვლის დარკვეული პერიოდის განმავლობაში

77) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სამუშაო დროის დანახარჯების შესწავლის მეთოდი?

ა) ფოტოგრაფია

ბ) ქრონომეტრაჟი

გ) მომენტური დაკვირვება

დ) პერიოდული დაკვირვება

78) დამქირავებლისათვის ხელფასი წარმოადგენს:

ა) შემოსავლის ძირითად წყაროს

ბ) წარმოების ხარჯების ნაწილს

გ) წარმოების მთლიან დანახარჯებს

79) ხელფასის სტიმულირების ფუნქციის შედეგად ხორციელდება:

ა) მომუშავის საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილება

ბ) მომუშავის დაინტერესება თავისი შრომის შედეგებით

80) ხელფასის სოციალური ფუნქციის შედეგად ხორციელდება:

ა) მომუშავის საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილება

ბ) სამომხმარებლო ბაზარზე მოსახლეობის გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა

81) ხელფასის გამაფრთხილებელი ინდექსაცია გულისხმობს:

ა)ხელფასის ზრდას წარსულ პერიოდში..

ბ)ხელფასის ზრდას სამომხმარებლო ფასების პროგნუზული ზრდის გათვალისწინებით და წინ უსწრებს ინფლაციას

82) ხელფასის რეტროსპექტული ინდექსაცია გულისხმობს:

ა)ხელფასის ზრდას სამომხმარებლო ფასების პროგნუზული ზრდის გათვალისწინებით

ბ)ხელფასის ზრდას წარსულ პერიოდში სამომხმარებლო ფასების ზრდის შესაბამისად

83) სატარიფო სისტემა წარმოადგენს:

ა) ფულად ფორმაში გამოხატულ შრომის ანაზღაურების აბსოლუტურ სიდიდეს სამუშაო დროის პერიოდში

ბ) განაპირა თანრიგების სატარიფო კოეფიციენტების შესაბამისობას

გ) ნორმატივთა ერთობლიობას, რომლის საფუძველზე განისაზღვრება მომუშავის ხელფასის ნორმა შრომის პირობების, კვალიფიკაციისა და ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით

84) სატარიფო ბადე არის:

ა) შრომის ანაზღაურების აბსოლუტური სიდიდე დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში

ბ) საკვალიფიციო თარიღებსა და შესაბამის სატარიფო კოეფიციენტების ერთობლიობა

85) სატარიფო განაკვეთი გამოხატავს:

დროის ერთეულში მომუშავის მიერ შრომის ანაზღაურების ზომას

86) სატარიფო ბადის დიაპაზონი ეწოდება:

ა) ნორმატივების ერთობლიობას, რომლ...

ბ) სატარიფო ბადის პირველ და კანასკნელ თანრიგებს შორის თანაფარდობას

87) ხელფასის სატარიფო სისტემით შრომის ანაზღაურება ხდება:

გ) ინდივიდუალური შრომის შედეგის მიხედვით

88) ხელფასის უტარიფო სისტემით შრომის ანაზღაურება ხდება:

ბ) კოლექტიური შრომის საბოლოო შედეგის მიხედვით

89) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი კომპონენტი არ არის ხელფასის ფონდის შემადგენელი ნაწილი?

ა) სამუშაო დროის ანაზღაურება

ბ) საკვალიფიკაციო თარიღებისა და სატარიფო კოეფიციენტების ერთობლიობა (ეს პასუხი იქნებ ვინმემ გადაამოწმოთ, ცოტა არ იყოს ვერ გავიგე რომელია სწორი)

გ) არანამუშევარი დროის ანაზღაურება

90) სამუშაო დროის ანაზღაურება არ მოიცავს:

ა) ნამუშევარი დროის ანაზღაურება

ბ) ყოველწლიური დამატებით, ან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შვებულების ანაზღაურება

91) არანამუშევარი დროის ანაზღაურება მოიცავს

ა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დავალების შესრულებისათვის, იძულებითი გაცდენების ანაზღაურებას

92) ხელფასის ფონდის დაგეგმვის მეთოდებია:

ბ) ექსტრაპოლაციური, ნორმატიული და დეტალური

93) ექსტრაპოლაციური მეთოდით ხელფასის ფონდის დაგეგმვისას საბაზო პერიოდში დახარჯული ხელფასის ფონდის პროექტირება ხდება

ა) საგეგმო პერიოდში პერსონალის რიცხოვნობისა და საშუალო ხელფასის ცვლილების შესაბამისად

94. ნამუშევარი დროის ანაზღაურება წარმოადგენს

ა) პრემიებსა და ჯილდოებს

ბ) სამუშაოს შეთავსებით მყოფთა ხელფასს

95. ნამუშევარი დროის ანაზღაურება არ მოიცავს

ა) პრემიებს და ჯილდოებს

ბ) ყოველწლიური დამატებითი ან კანონმდებლობით გათვალისწინებული შვებულების ანაზღაურება

96. ხელფასის სუბსიდირება

ა) წარმოშობს მხოლოდ შემოსავლის ეფექტს

ბ) წარმოშობს სამუშაო ძალის მიწოდების შემცირებას

გ) აძლიერებს შრომის მოტივაციას

97. ხელფასის ძირითადი ფუნქციებია

გ) სოციალური, კვლავწარმოების და რეგულირების

98. ხელფასის ძირითადი ფორმებია

ა) სანარდო და დროითი

99. ხელფასის სატარიფო და უტარიფო სისტემას შორის პრინციპული განსხვავება შემდეგია

ა) სატარიფო სისტემაში პირველადია მომუშავის გამომუშავება მეორადი - ხელფასის ფონდი, უტარიფოში კი პირველადია ხელფასის გამომუშავება, მეორადი - ინდივიდუალური გამომუშავება

100. შრომის მწარმოებლურობა განისაზღვრება

გ) როგორც წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შეფარდება მის საწარმოებლად საჭირო დანახარჯებთან

101. შრომის მწარმოებლურობის განსაზღვრის მეთოდებია

გ) ნატურალური ღირებულებითი და შრომითი

102. შრომის მწარმოებლურობის გაზომვის ღირებულებითი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში

ა) წარმოებული პროდუქციის მოცულობა გამოისახება საერთო წმინდა სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებლებში

103. შრომის მწარმოებლურობის გაზომვის შრომითი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში

გ) წარმოებული პროდუქციის რაოდენობა გამოისახება ნორმა საათებში

104. შრომის მწარმოებლურობის გაზომვის ნატურალური მეთოდის გამოყენების შემთხვევაში

ბ) წარმოებული პროდუქციის მოცულობა განისაზღვრება ფიზიკური ზომის ერთეულებში

105. შრომატევადობა გამოხატავს

გ) პროდუქციის ერთი ერთეულის გამოსაშვებად საჭირო დროის რაოდენობას

106. ტექნოლოგიური შრომატევადობა წარმოადგენს

ბ) ყველა ძირითადი მუშის (სანარდო და დროითი) შრომითი დანახარჯების ჯამს

107. წარმოების მომსახურების შრომატევადობა წარმოადგენს

ა) ხელმძღვანელისა და სპეციალისტების შრომით დანახარჯებს

ბ) პერსონალის ყველა კატეგორიის შრომითი დანახარჯების ჯამს

გ) ძირითადი საამქროების დამხმარე მუშებისა და სამსახურების დამხმარე მუშების შრომით დანახარჯებს

108. შრომის მწარმოებლურობის ზრდის რეზერვები არის

ბ) პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდისა და ხარისხის ამაღლების, ასევე შრომითი დანახარჯების შემცირების გამოუყენებელი შესაძლებლობები

109. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში არ ხდება შრომის მწარმოებლურობის ამაღლება

ა) პროდუქციის მოცულობა იზრდება, დანახარჯები მცირდება

ბ) პროდუქციის მოცულობა იზრდება, დანახარჯები უცვლელია

გ) პროდუქციის მოცულობა უცვლელია, დანახარჯები მცირდება

დ) პროდუქციის მოცულობა უცვლელია, დანახარჯები იზრდება

110. ზოგადად, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებია

გ) მატერიალურ-ტექნიკური, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური